# ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . | 10 | — | 6 . . | 6 | — |
| 11 . . | 9 | 50 | 5 . . | 5 | 50 |
| 10 . . | 8 | 75 | 4 . . | 4 | 75 |
| 9 . . | 8 | — | 3 . . | 3 | 50 |
| 8 . . | 7 | 25 | 2 . . | 2 | 75 |
| 7 . . | 6 | 50 | 1 . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.


1877—1887 წელიწადი

ტფილისი, 5 ოქტომბერი

რაც დღე მიდის, მით უფრო ძნელდება ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური მდგომარეობა; მათ შორის განწყობილება თან და თან ისე იხლართება, რომ ძნელი გამოსაცნობია, რითი უნდა დაასრულონ საქმეთა ამ გვარი აწეწილ-დაწეწილობა. ყველა სახელმწიფოთა ინტერესები, მიზიდულებანი ისე არის ერთმანერთზე გადაბმულნი, რომ არც ერთს სახელმწიფოს არ შეუძლიან თავისუფლად და თავისის საჭიროების მიხედვით იმოქმედოს; რადგანაც ეგ მისი საჭიროება ეწინააღმდეგება სხვისას, ასე რომ განიზრახავს თუ არა რასმე ერთი რომელიმე სახელმწიფო, იმ წამსვე მეორე და მესამე ყალხზე დგება და პირველს გზაზე ეღობება. საქმეთა ესეთი აწეწილ-დაწეწილობა დღითი-დღე მატულობს და ვინ იცის, სადამდე მიაღწევს; მაინც და მაინც შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ვერავითარი პოლიტიკური მოხერხება, გამჭრიახობა და მეცადინეობა, ვერც ერთი გენიოსი პოლიტიკოსი ვერ გახსნის იმ ნასკვს პოლიტიკისას, რომლის დასაშლელად საბოლოვოდ საჭირო იქნება ხმალი ალექსანდრე მაკედონელისა და არა ოსტატური სადიპლომატო მიწერ-მოწერა და გამათობა.

აი, მაგალითად, დაიბადა თუ არა ბოლგარიის საქმე, იმ წამსვე საპოლიტიკო სარბიელზე გამოვიდნენ ყველა სახელმწიფონი, თავიდამ ფეხამდე შეთოფ-იარაღებულნი თავ-თავიანთ საჭიროებათა და ინტერესების დასაცველად. ბოლგარიის საქმემ ყველას დაანახვა თუ, რამდენად ეწინააღმდეგებიან ერთი-ერთმანერთს რუსეთისა და ავსტრიის ინტერესები, საითკენ მიიზიდება საფრანგეთი, ვისკენ უჭირავს თვალი გერმანიასა და სხვ.

პატარა სახელმწიფოებმაც ყური ააცქვიტეს და ეჭვით და გულის ძგერით დაუწყეს ცქერა თავ-თავიანთ და ევროპის მერმისს. საქმე იმ ზომამდე გაძნელდა, რომ დღემდის ვერავითარს სადიპლომატო მიწერ-მოწერას, მოლაპარაკებას ვერ დაუბოლოვებია საქმე, რომელიც დღეს წინანდელზე უფრო აწეწილს მდგომარეობაშია.

ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური გამჭრიახობა და მოხერხება ბოლგარიის საქმის დასასრულებლად საკმარისი არა ყოფილა, როგორც თვით ამ საქმის მიმდინარეობა ჰმოწმობს; ჯერ-ჯერობით სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა ყოველი მეცადინეობა უქმი გამოდგა და ამით საკმაოდ დამტკიცდა, რომ საქმეთა ისტორიულ მსვლელობის შეცვლა, შეჩერება შეუძლებელია თვით დახელოვნებულ პოლიტიკისა და დიპლომატიისათვისაც...

იმ დროს, როცა ყველანი ჩაებნენ ბოლგარიის საქმეში და სხვა და სხვა მხრისაკენ მიიზიდებიან, თავი იჩინა ერთმა გარემოებამ, რომელიც კიდევ უფრო ნათლად ამტკიცებს ამ ჩვენს აზრს, რომ პოლიტიკური მდგომარეობა ევროპის სახელმწიფოთა თან და თან ძნელდება. ჩვენ ვამბობთ მაროკკოს საქმეზე, რომელმაც პირისპირ შეატაკა ერთი-ერთმანერთს ზოგიერთ სახელმწიფოთა ინტერესები. შესაძლოა ბევრს გაგონებითაც არ გაეგონოს, სადა და რა არის მაროკკო, მაგრამ ეს საქმე იმდენად შესანიშნავი და საგულისხმო გამოდგა, რომ ზოგიერთ სახელმწიფოთ გულის ძგერა აუვარდათ, როცა მოვიდა ამბავი, რომ სულთანი მაროკკოსი მძიმედ, უნუგეშოდ ავად არისო. სანამ ეს ამბავი მოვიდოდა, სახელმწიფოები უიმისოდაც უთვალ-თვალებდნენ მაროკკოს და ელოდებოდნენ იმ ჟამს, როცა ხანს გადასული სულთანი მაროკკოსი ამ წუთი-სოფელს გამოესალმებოდა. საბრალო სულთანს ჯერ სული არ დაულევია, და ზოგიერთა სახელმწიფოები ჯარებისა და ფლოტის მზადებას შეუდგნენ. ისპანიის მმართებლობამ ბრძანება გასცა, რომ ესა-და-ეს ნაწილი ჯარისა ხმელთა-შუა ზღვაში შევიდეს და მაროკკოსკენ გაემგზავროსო. საფრანგეთი და იტალიაც დაფაცურდნენ, რადგანაც იმათაცა ჰქონიათ თავ-თავიანთი ინტერესები მაროკკოში. რასაკვირველია ინგლისიც გაგზავნის ფლოტს, რათა ამ საქმეშიაც მონაწილეობა მიიღოს. მხოლოდ ავსტრია არ აჩქარებულა ჯერ-ჯერობით, რადგანაც უიმისოდაც დიდი საქმე აწევს კისერზე. საბრალო სულთანს მაროკკოსას შესაძლოა ფიქრადაც არ მოსდიოდა წინად, რომ იმის სიკვდილი სხვებს მადას გაუღვიძებდა; რომ იმის გარდაცვალებას უთვალ-თვალთვალებენ ევროპიელნი, რომლებიც განმზადებულან „ძმურად“ გაიყონ სულთანის სამფლობელო.

მაროკკოს საქმე დიდს ზედ-მოქმედებას იქონიებს ევროპის პოლიტიკაზე და ადვილად საფიქრებელია, რომ იგი აჩქარებს ევროპის საქმეთა მსვლელობას. თუ ვინიცობაა საფრანგეთმა გაიწია მაროკკოსაკენ და პირისპირ შეეყარა იტალიას, ისპანიას და სხვათა, გერმანიას, რომელსაც ეს თხუთმეტ წელიწადზე მეტია ტკბილი ძილი ერთხელაც არ მოსვლია, ხელ-ფეხი გაეხსნება და მაშინ ხომ გერმანია გაბედულად და თამამად ჩაერევა ევროპის საქმეში და უეჭველია პოლიტიკის სასწორს თავისაკენ დასწევს. რასაკვირველია, რაც უფრო გაძნელდება მაროკკოს საქმე, რაც უფრო გულ-დასმით და აჩქარებულად ჩაებმება ამ საქმეში საფრანგეთი, მით უფრო თავისუფლად იგრძნობს თავს ბისმარკი, რომელიც ყოველს ღონისძიებას, ოსტატობას იხმარს, რომ საფრანგეთი არ მოეშვას მაროკკოს.

აი, სად არის დიდი მნიშვნელობა მაროკკოს საქმისა, რომლის ადრე თუ გვიან გადაწყვეტა იმაზეა დამოკიდებული, თუ როდის განუტევებს სულს სულთანი; როგორცა სჩანს, სულთანს არ დააცლიან მშვიდობიანად გამოესალმოს ამიერობას.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** იმ დღეს გვაცნობეს—ხარფუხში ერთი სახლობა მოიწამლა ლობიოს ჭამითაო. აი კიდევ მცირეოდენი ცნობები. წევრთ ამ ოჯახობისას: ზურაბა მახნაზაროვს, 80 წლისას, იმის ცოლს ელისაბედს, 65 წლისას; უფროსს შვილს სარქისას, 30 წლ.; უმცროსს—ნაზარას, 26 წლ. და ქალს ნატალიას, 18 წლ. ვახშამი ეჭამათ და მაშინვე ეგრძნოთ, რომ მოწამლულები არიან. მოიყვანეს მკურნალი ბახუტოვი, რომელმაც უწამლა და ერთხანად მოარჩინა ყველანი; მაგრამ მოხუცმა ზურაბამ მაინც ვერ აიტანა და გუშინ გარდაიცვალა. მისი გვამი გაგზავნეს სამკურნალოში გასაჭრელად, უფროსი შვილიც ძალიან ცუდად არის ეხლა. მოწამლულნი არიან დარიშხანითა. როგორცა ჰფიქრობენ, დარიშხანა ბანიდამ ჩაუყრიათ ქვაბში, როცა ცეცხლზე მდგარა.

*** გუშინ საღამოზე მთელი ქუჩა ანდრიასი, კუკიაში, გაივსო ბავშვებით, ქალითა თუ ვაჟით. ყმაწვილები ძალიან შეშინებულნი იყვნენ. მიზეზი შიშისა ის იყო, რომ სამი-ოთხი ყარაული რკინი-გზისა გამოსდგომოდა ერთს პატარა ბიჭს, რომელსაც სადგურზე 30 დაბეჭდილ ვაგონისათვის ტყვიის ბეჭდები ეჭრა. ბოლოს გულგახეთქილი ყმაწვილი დაიჭირეს და გადასცეს პოლიციას.

*** ხელ-მეორედ იბეჭდება ცალკე წიგნად შექსპირის თხზულება „ჰამლეტი“, ნათარგმნი ბ-ნ ი. მაჩაბლის მიერ.

*** ამ დღეებში დარიგდება გასასყიდად გაზეთ „ივერიის“ რედაქციისაგან დაბეჭდილი მესამე წიგნი, რომელსაც სახელი ერქმევა—„დამაკვირდი!“

*** დრამატიულ საზოგადოებას ექმნება კრება მომავალ ხუთშაბათს. ამ კრებაზე უნდა ამოირჩიონ რომელიმე პიესა და გაუნაწილონ როლებს სცენის მოყვარეთ, რომელთაც გამოაცხადეს სურვილი სათეატრო დასში შესვლისა.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ რამდენისამე ახალგაზდა განათლებულ ქალის თაოსნობით ტფილისში გაიმართება მომავალ კვირას, 11 ღვინობისთვეს, ქალების საკვირაო სკოლაო.

სკოლაში სწავლა იქნება უფასოდ და მიიღებენ ყველას, ვინც ისურვებს შეისწავლოს ამ სკოლაში წერა-კითხვა და დასაწყისი სწავლა.

სკოლაში იქნება სამი განყოფილება: ქართული, სომხური, და რუსული. სწავლა დაიწყება ყოველ კვირა, დილის 12 საათზე, წირვის გამოსვლის შემდეგ.

ეს სკოლა იქნება გამართული საქალაქო დედათა სახელოსნოში, რომელიც იმყოფება ჰაჟაევაძის ქუჩაზედ, თეოდოროვის სახლებში.

ამასთანა სკოლის დაარსება ძალიან სასიამოვნო და მოსაწონი საქმეა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დიდს სარგებლობასაც მოუტანს ჩვენს უსწავლელ ქალებს.

*** ტფილისის სამხედრო ბეგრის გამგეთა კრებული აცხადებს, რომ თავის მოქმედებას, შესახებ ჯარის კაცთა მოკრებისა დაიწყობს პირველ ნოემბრიდამ. ამ დღეს, დილის რვა საათზე, ცირკის შენობაში, გოლოვინის პროსპექტზე, უნდა გამოცხადდნენ: 1) ისინი, ვისაც წლოვანობა სახეზე უნდა შეატყონ; 2) ისინი, ვინც უკენჭოდ უნდა წავიდნენ სამსახურში; 3) ისინი, ვინც მიიღო ვადა მომავალ მოწოდებამდის; 4) ყველა ისინი, ვინც წელს მოწვეულნი არიან სიებით.

ამ მოწოდებულთაგან არ მოვლენ მხოლოდ ისინი: ა) ვინც ან მღვდლად შევიდა ანუ დიაჩოკად; ბ) ვინცა სწავლობენ სადმე სასწავლებელში და ვადა აქვთ მიცემული კურსის გათავებამდე; გ) ვინც მიიღო ვადა იმის გამო, რომ სამსახურში არიან ხელწერილით სავაჭრო ფლოტის გემებზე.

*** სამშაბათს საღამოზე, 6 ოქტომბერს, სამეურნეო საზოგადოებას ექნება მორიგი კრება. სხვათა შორის განიხილავენ ბ-ნ სტრუვეს მოხსენებას შესახებ ვაზის ავადმყოფობისა, რომელიც ამ ბოლოს დროს მუსრს ავლებს კავკასიის ვენახებს. არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

*** ამ დღეებში ჩამოვიდა სათავადაზნაურო თეატრის იჯარადარი, ბ-ნი ფორკატტი, რომელსაც უკვე ჩამოუყვანია თავისი რუსული დრამატიული დასი. თეატრი გაიხსნება პირველს ნოემბერს. ამასთანავე ბ-ნი ფორკატტი იჯარით აძლევს თეატრის ბუფეტ-რესტორანს.

*** გუშინ-წინ, ნაშუა-დღევს ორთაჭალის ცხენ-მავალას 52 №-ში ისეთი დაღლილი ცხენები შეებათ, რომ რიყის სადგურიდამ დამოჟანისამდე სწორედ ერთი საათი და ხუთი წამი მოუნდნენ გზასა. ცხენები აღმართებზე დგებოდნენ და კუჩრები ჰშველოდნენ ატანას.

*** გუშინ-წინ დილას თათრის მეიდანზე, სადაც ისეთი ვიწროობა, ვაგონს გაუტყდა ღერძი. მთელი დღე ვაგონი იქ ეგდო და ხალხს უშლიდა მისვლა-მოსვლას კვირა დღესა.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას მიუნდვია ერთ თავის წევრისათვის, დაათვალიეროს რამდენად გამოსადეგი იქნება სამეურნეო სკოლის გასამართავად ესრედ წოდებული ქუთაისის ფერმა.

*** საჩხერე: 13 სექტემბერს, თ. გ. წერეთლის სახლში აქაურმა სცენის მოყვარეებმა კნ. ნინო ორბელიანის თაოსნობით წარმოადგინეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ „ბაიყუში“, ა. ცაგარლისა და „ძალად ექიმი“, მოლიერისა. წარმოდგენამ ძალიან კარგად ჩაიარა; ჩვეულებისამებრ არტისტულად აღასრულეს თავიანთი როლები კნ. სადიკო წერეთლისამ და თ. ელ. აბაშიძემ. წარმოდგენის დროს კნ. ნინო ორბელიანმა მიართვა პირველს ყვავილების თაიგული და მეორეს ყვავილების გვირგვინი.

წარმოდგენიდამ სულ შემოვიდა 110 მანეთი. აქედგან სცენისა და სხვა საჭიროებისათვის დაიხარჯა 33 მან. და დარჩა წმინდა შემოსავალი 77 მანეთი. სცენა, რომელიც ამ გზობისათვის გაჰმართეს, კნ. ნ. ორბელიანმა მიანდო „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრს, თ. ბექან წერეთელს, რომ მან მომავალ ორ წარმოდგენიდამ ამ სცენაზე აიღოს თხუთმეტ-თხუთმეტი მანეთი და წარუდგინოს ხსენებულს საზოგადოებას.

*** სოფ. მცხეთიდამ გვწერენ: სვეტი-ცხოვლობის დღეს ქალაქის ჯიბგირები შესულან მცხეთის ერთი გლეხის სახლში და გაუტანიათ სავსე სკივრი. სკივრში გამზადებული ჰქონია გლეხს გასათხოვარ ქალის მზითევი. პოლიციამ სოფლის სახლები და დუქნები მთლად გადასინჯა, მაგრამ ვერსად აღმოაჩინა მოპარული სკივრი.

### საზოგადო კრება

#### ქართულ დრამატიულის საზოგადოებისა

(4 ოქტომბერს)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების კრება პირველად დანიშნული იყო 27 სექტემბრისათვის, მაგრამ რადგან მაშინ კანონიერი რიცხვი წევრთა არ მოგროვდა, კრება ვერ შესდგა და 4 ოქტომბრისათვის გადაიდო. 4 ოქტომბერსაც დიდი ხალხი არ შეგროვდა, სულ ათი, თუ თხუთმეტ, წევრი

დაესწრო, იმათ გარდა, ვინც წევრებად არ ითვლებიან, მაგრამ, წესდების ძალით, ეს მეორე კრება კანონიერი იყო და ამიტომაც შეუდგა თავის საქმეს.

კრების თავ-მჯდომარედ აირჩიეს ბ-ნი გ. თუმანიშვილი, რომელმაც წაიკითხა ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა წარსულის წლის განმავლობაში. ამას გარდა მოახსენა კრებას საავარაუდო ხარჯთ აღრიცხვის სია შემდეგის წლისათვის. თვით ანგარიშს და ხარჯთ აღრიცხვის სიასაც მთლად ვბეჭდავთ დღევანდელს ჩვენს გაზეთში და მსურველს შეუძლიან თვითონ გადიკითხოს ის ანგარიშიცა და საავარაუდო შემოსავალ-გასავლის სიაცა.

ჩვენ-კი, ჩვენის მოვალეობისამებრ, მკითხველების ყურადღებას მივაქცევთ იმ კამათობას, რომელიც კრებაზედ გაიმართა წლიურის ანგარიშის და საავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის სიის გამო.

ბ-ნმა ფ. უმიკაშვილმა სთქვა, რომ წრევანდელს ანგარიშში მოხსენებული არ არის, რა მდგომარეობაშია სათეატრო ბიბლიოთეკა და გარდეროში, ანუ სათეატრო ტანთ-საცმელიო. სასურველია, რომ ეს ორი საგანი ყოველთვის ჯეროვანის ყურადღებით მოხსენდეს ხოლმე საზოგადო კრებას. კრებამ ყოველ-წლივ უნდა გაიგოს ხოლმე, რა ქონება აქვს დრამატიულს საზოგადოებას: რამდენი სათეატრო პიესები და წიგნები აქვს და რამდენი კიდევ სათეატრო ტანისამოსიო.

გ. თუმანიშვილი. სათეატრო ბიბლიოთეკისა და გარდერობის მდგომარეობა დაწვრილებითა აქვს აწერილი კომიტეტს, ხოლო თუ ანგარიშში მაგ საგანზედ არა არის-რა მოხსენებული, ეგ იმიტომ-რომ შარშან საზოგადოებას ყოველივე ეგ დაწვრილებით მოხსენდა, და საანგარიშო წელს-კი კომიტეტს მაგ მხრივ არა გაუკეთებია-რა თითქმის და მაშასადამე ანგარიშშიაც ვერა იქნება-რა მოხსენებული.

ი. გოგებაშვილი. მაინც სათეატრო ბიბლიოთეკაც და სათეატრო ტანთსაცმელიც საზოგადოების ქონებაა და ყოველ წლის ანგარიშში სასურველია შემდეგისათვის მოხსენებული იყოს ხოლმე, რომ აი ამდენსა და ამდენს ფულს გარდა საზოგადოებასა აქვს ასეთი თუ ისეთი ბიბლიოთეკა, ასეთი თუ ისეთი გარდეროპიო.

კომიტეტმა მხედველობაში მიიღო, რასაკვირველია, ეს გარემოება და თავ-მჯდომარემ სთხოვა კრებას, წარსულის წლის ანგარიში დაამტკიცეთო, და კრებამაც დაამტკიცა. შემდეგ ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზე, აქეთ თუ არა კენჭი იმათ, ვინც წევრებად ჩაწერილან და ყოველ წლიური საწევრო ფული არ შეუტანიათ საზოგადოების სასარგებლოდ. კომიტეტს სრულიად სამართლიანად გადაუწყვეტია წესდების თანხმად, რომ იმ წევრს, რომელსაც ყოველწლიური საწევრო ფული არ შეუტანია, არც კენჭი უნდა ჰქონდეს საზოგადოების სხვა-და-სხვა საქმეების გადაწყვეტაშიო, თუმცა ზოგიერთები ამტკიცებდნენ, რომ კომიტეტს უფლება არა აქვს ჩამოართვას კენჭი იმათ, ვინც ჯერ წევრობას არც თავად დასთხოვებია და არც საზოგადოების კრებას დაუთხოვნია, თუნდა საწევრო ფულიც არა ჰქონდეს შეტანილიო.

შემდეგ კრების თავ-მჯდომარემ იმაზე ჩამოაგდო ლაპარაკი, ისევ კომიტეტმა იკისროს შარშანდელსავით სათეატრო დასი და თავის ხელ-მძღვანელობით ჰმართოს წარმოდგენები, თუ ამ საგანს თავი დაანებოს და თავისი ყურადღება მიაქციოს საზოგადოების სხვა გვარ საქმეებსაო: მაგალითად, რეპერტუარის გამდიდრებას, პრემიების დანიშვნას პიესების დამწერთა და თუ მთარგმნელთათვის, სათეატრო ფონდის დაარსებას. ლექციების გამართვას, სათეატრო ტანთ-საცმელების შეძენასა და მოპოვებასა და სხვანი და სხვანიო. ჩემის აზრითაო, განაგრძო ბ-ნმა თავ-მჯდომარემ,— თუ სათეატრო დასის შედგენასა და მართვას ვიკისრებთ, ზემოდ დასახელებულს საქმეებს ველარ გავწვდებით: იმ საქმეებისათვის არც საკმაო ფული და შეძლება გვექმნება მაშინ და არც დრო და მოცალეობაო. შარშანაც ისე მოგვივიდა, რომ ჩვენ მხოლოდ დასის გაძღოლასა და წარმოდგენების მართვას მოვუნდით, ხოლო სხვა საქმეებისათვის-კი ველარა შევიძელითრაო.

ი. გოგებაშვილი. მე მგონია, რომ დასის შედგენამ და წარმოდგენების მართვამ არ უნდა დაუშალოს კომიტეტს, სხვა საქმეებისათვისაც იზრუნოს. დასის შედგენა, წარმოდგენების მართვა და ზემოხსენებული სხვა საქმეები საზოგადოებისა, მეტადრე რეპერტუარზე ზრუნვა, ორი ერთად შეკავშირებული საგანია და მათი განცალკევება არ იქნება. თუ გვინდა, რომ დასმა წარმატებით იმოქმედოს, პიესების მოპოვებაზე უნდა ვზრუნავდეთ, ხოლო პიესების მოპოვებისათვის ზრუნვა ისე არ შეიძლება, თუ დასი არა მოქმედობს და წარმოდგენებს არა ჰმართავს. ვინ დასწერს, ან გადასთარგმნის და ან გადააკეთებს პიესებს, თუ არ ელოდინება, რომ იმისი დაწერილი პიესა წარმოდგენილი იქნება ერთისა და ორის თვის შემდეგ. ამიტომ სასურველია, რომ კომიტეტმა შარშანდელებურად წელსაც იკისროს დასის შედგენა და უმთავრესი ყურადღება რიგიანის რეპერტუარის მოპოვებას მიაქციოს, რადგანაც ჩვენი დღევანდელი პიესები მეტად გაცვდნენ, თავი მოგვაბეზრეს და საზოგადოებას აღარ იზიდვენ. ახალის პიესების შესაძენად საჭიროა პრემიები დაენიშნოს პიესების დამწერთა და და მთარგმნელთა. შეიძლება ავტორს მიეცეს გადაწყვეტილი პროცენტი იმ შემოსავლიდამ, რომელიც იმ პიესის წარმოდგენის გამო იქმნება. კომიტეტმა ამოირჩიოს რამდენიმე კარგი მცოდნე ქართულისა და უცხო ენებისა და მიანდოს იმათ, სწორედ დაავალოს, რომ სასარგებლო პიესები ან გადათარგმნონ ან გადააკეთონ.

აკაკი. რეპერტუარი უპირველესი საქმეა დღეს ჩვენთვის. პიესები კარგის ქართულის ენით უნდა იყოს დაწერილი. უმგზავსის ენით დაწერილის პიესების წარმოდგენით საზოგადოებას-კი არ მოვიზიდავთ თეატრში, უფრო დავაფრთხობთ. მე უფრო ის მირჩევნიან, სულ უდასოდ დავრჩეთ ჯერჯერობით და რეპერტუარი-კი გავაუმჯობესოთ და რიგიანი პიესები გავიჩინოთ.

გ. თუმანიშვილი. თუ დასს კომიტეტი არ შეადგენს, მაშინ იგი თავის ღონის-ძიებას სხვა საქმეებს მოახმარებს. ამ ჟამად ორმოც თუმანზე მეტი გვაქვს, სამოც თუმნამდე კიდევ ვიშოვით, ან ბალის გამართვით, ან ამ წყაროდამ, ან იმ წყაროდამ და ამ ასის თუმნით შეგვეძლება პრემიები ვაძლიოთ პიესების დამწერთა, გადამკეთებელთა და მთარგმნელთა; შეგვეძლება ტანისამოსისთვის ვიზრუნოთ, სათეატრო ლექციები მოვახერხოთ, ერთის სიტყვით, სხვაფრივ ვიზრუნოთ სასცენო და სათეატრო ხელოვნების წარმატებისათვის.

ივ. მაჩაბელი. მე ვგონებ, რომ წელს უფრო უნდა იზრუნოს დრამატიულმა საზოგადოებამ დასის შედგენისათვის, თუ უნდა, რომ ქართულის თეატრის საქმე სამუდამოდ არ დაიმარხოს. ეხლა ახალი თეატრი შენდება და ეს ახალი თეატრი ყოველისფრით კარგად იქნება მოწყობილი. ერთი ორი - სამი წარმოდგენა რომ კარგად გაიმართოს, დიდი შემოსავალი ექნება კომიტეტს და შეიძლება ამ შემოსავალმა ფეხზედ დააყენოს თეატრის საქმე. ამ თეატრში კვირაში ოთხჯერ - ხუთჯერ რუსული წარმოდგენები გაიმართება. თუ ამ რუსულის დასის გვერდზევე ქართული დასიც არ იმოქმედებს, და არ იმოქმედებს რიგიანად, ქართულის თეატრის აღდგენა შემდეგ ძალიან გაძნელდება. თუ წელს დასი არ შესდგა, მაშინ იქნება თეატრი-კი ავაშენოთ, მაგრამ ქართულის თეატრის საქმეს-კი სამუდამოდ დავაქცევთ.

ი. გოგებაშვილი. კომიტეტი უნდა ეცადოს, რომ წელსაც შეადგინოს დასი და ან თავად იკისროს ეს საქმე, ან მიანდოს ვისმე კეთილ-საიმედო კაცს.

ან. დუღაძე. ივ. მაჩაბლის აზრი დიდად მოსაწონია. თუ ეხლა არ შევადგინეთ დასი, როცა თეატრის შენობა განახლდება, და მაშასადამე შემოსავალიც უფრო მოსალოდნელია, მერე უფრო ველარას მოვახერხებთ.

საზოგადო კრებამ დაადგინა, რომ კომიტეტმა ყოველივე ღონის-ძიება იხმაროს და ან თვითონ ეცადოს და მოახერხოს დასის შედგენა, ან მოსძებნოს ისეთი კერძო კაცი, რომელსაც იგი კომიტეტი ენდობოდეს და იმას ჩაბაროს დასის შედგენა და წარმოდგენების მართვა.

დასასრულ, კრებამ დაამტკიცა მოსალოდნელ შემოსავალ-გასავლის ანგარიშიცა და კრება გათავდა კიდეც ნაშუადღევის 2 საათზე.

## წერილი თელავიდამ

ვისაც სამის წლის წინად აქაურობისათვის თვალ-ყური უდევნებია, იგი დღეს სრულიად ვერ იცნობს თელავსა. მას შემდეგ აქაურს ყოფა-ცხოვრებას იმდენად უცვლია ფერი და ხასიათი, რომ ჰგვონიათ, თუ ორსა და სამს წელიწადს რა ბევრი შესძლებიაო. მკითხველმა ის კი არ იფიქროს, ვითომ თელავი აყვავებულიყოს; პირ-იქით, მე ვსაუბრობ იმაზე, რომ თელავი კიბორჩხალასავით უკან-უკან მიდის. როცა აქაურობას დაჰყურებთ, სცდილობთ წარსულის ხმთი იპოვოთ, გამოიცნოთ მიზეზი ამ გარემოებისა და ამისათვის მიდიხართ ხან ერთს ნაცნობთან, ხან მეორესთან. გესმით მხოლოდ „აბდაკატური“ პასუხი, რომელიც „არც მწვადსა სწვავს და არც შამფურს“. ახებებ ამათ თავსა და ჰფიქრობ თვითონ გაიცნო აქაური ყოფა-ცხოვრება და მიაგნო მას ზე ჭეშმარიტი აზრი. პირველად მაისწრაფები ოსტოთამშვილის „სკოლისაკენ ღარიბ მოსწავლე დედათათვის“, სადაც წინად ოთხმოც-და-ხუთი ქალი სწავლობდა დედა-ენაზე წერა-კითხვასა, ქსოვა-კერვა-გვრვას და ყოველს სათავსო საქმეებს. მიდიხარ და რას ხედავ?!—მას, რომ აქ სრულიად ხსენებაც არ არის ამ სკოლისა.

უყურებ ამ სამწუხარო მოვლენას და გებადება კითხვა: რამ წაახდინა ეს კეთილი საქმეო?—რასაკვირველია, ჩვენმა გაზვიადებულმა თავ-მოყვარეობამ, ჩვენმა გულ-ფიცხობამ და ჩვენმა მოუთმენლობამ:

> შურისა ნერგი რა გულსა
> აღორძნდეს დანათესარი,
> მალ გამოჩნდების, რა მოაქვს
> მას ხილი დანაწესარი...

გულ-ნაღვლიანი ანებებ თავს ამ სანახაობას და მიდიხარ მეორე საზოგადო დაწესებულებაში—„დეპოში“, რომლის პირდაპირი მოვალეობა ის არის, რომ აქაურ პოლო-მოვაჭრეებს დაამოფებინოს სავაჭრო საქონელი და მცხოვრებლებს ღირებულ ფასად აყიდვინოს. მიდიხართ იმ იმედით, რომ იმის კეთილ მდგომარეობით მაინც არის დავსტკბებით, მაგრამ წინანდელ «დეპოს» მაგიერ თქვენა ხედავთ რაღაც გაცარცულ მეწვრილმანის დაცარიელებულს დუქანს, რომელიც თითქოს „ბოქაულს“ აეწერა.

— კაცო! რამ მიიყვანა აქამდის დეპო? ეკითხები ნაცნობს

— არ ვიცი.

— მაინც?

—მაინც არ ვიცი.

— თქვი, კაცო! გაკოტრდა?

— არა, ფული აქვს.

— სად არის ეგ ფული?

— ყუთში უწყვია.

— რატომ არას ყიდულობენ, რატომ არ აღებ-მიცემობენ, როგორც რიგია?

— არ ვიცი.

— მაშ რა იცი?!

— მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ორი წელიწადია გამგეობის წევრებს ანგარიში არ მოუციათ და გულ-დაწყვეტილმა საზოგადოებამ არა იცის-რა თავის დეპოს ავ-კარგიანობისა. წინანდელი დახლიდარი მ. ქ—ძე რომ გაისტუმრეს, დეპო არ უანგარიშნიათ და არ შეუტყვიათ, მ. ქ—ძის ხელში დიდი მოგება იყო, თუ დიდი ზარალი... დღევანდელი დახლიდარი ი. ი—შვილი უანგარიშოდ დეპოში შეიყვანეს და დასვეს დახლიდრად. ეხლა რომ დიდი ზარალი აღმოჩნდეს და ნაზო კოდელიც მოიყვანონ, ისიც ვერ გაიგებს, წინანდელი დახლიდარი მ. ქ—ძეა მიზეზი ამ ზარალის:, თუ ეხლანდელი დახლიდარი ი. ი—შვილი?

— რატომ არ იანგარიშა გამგეობამ ძველის დახლიდრის წასვლის და ახალ დახლიდრის შემოსვლის დროს დეპო? ან ახალმა დახლიდარმა რაღად იკისრა უანგარიშოდ დეპოს მართვა?

— არ ვიცი.

— რატომ კომიტეტის წევრები გამგეობას მაინც არ მოსთხოვენ, ან საზოგადო კრებას, ეს ხომ სავალდებულოა წესდების ძალით?

— გამგეობა დაიბარეს, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო არ მოუვიდა კომიტეტს. ერთხელ კომიტეტი დეპოსაც ანგარიშობდა, მაგრამ ანგარიში („სჩოთები“) სრულიად ვერ იპოვნეს, თავი მიანებეს და საზოგადო კრებაზე-კი ჯერ არა ისმის-რა.

— ეგ ხომ წესდების პირდაპირი დარღვევაა?

— მართალია—დარღვევა-კი არა, მეტიც არის, მაგრამ ვინ არის პატრონი?

გარდა იმისა, რომ დეპოს საქმე ასე აწეწილ-დაწეწილია, მას კიდევ ერთი დაბრკოლება შეხვდრია.

მისმა მოქიშპე მოვაჭრეებმა არა თუ ის იციან, ვისაგან იწერს დეპო საქონელს, ან რა ფასად მოსდის, ან რა ეჭარბება და ან რა შემოაკლდება,—არამედ ისიც კი იციან წინ-და-წინ, ვის უნდა მისწეროს „საკომერციო“ ბარათი, რაზე და როგორ!!! დეპოს ავიწყდება ის მოძღვრება, რომელიც გვეუბნება:

> თუმცა შენ მტერმან იცოდეს
> შენი იდუმალ რჩევანი,
> ამაზე უნდა ვაებდე,
> გქონდეს ცრემლშია რევანი.

ამ გვარსავე სულთ-მობრძავ მდგომარეობაშია აქაური „წიგნთ-საკითხავი“. დაარსების დროს სამოც-და-თხუთმეტი წევრი ჰყავდა და დღეს მხოლოდ ათი-და ჰყავს; რამდენადაც სამწუხაროა «წიგნთ-საკითხავის» მდგომარეობა, იმდენად გულ-საკლავია თელავის საზოგადოების გულ-გრილობა. ეს დაწესებულება თამამობას მეტს არაფერს აკეთებენ. დრო და ჟამის უქმად დაღუპვას გარდა, ფულსაც კარგად ბლომად ფლანგავენ სრულიად უნაყოფოდ და ის კი არავის მოზდის აზრად, რომ წიგნთ-საკითხავის საწევრო სამიოდე მანათი გაიმეტონ წლიურად და ჭკუა-გონებას რაიმე საზრდო მიაწოდონ.

**

არც აქაური გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობაა კარგს მდგომარეობაში. წესდების ძალით გამგეობას მხოლოდ ექვსის თვითა აქვს უფლება ფული გაასესხოს და სამის თვით კიდევ მისცეს. ამ გვარად ცხრა თვის განმავლობაში ამხანაგობის თანხა უთუოდ უნდა მოტრიალდეს საზოგადოების ხელში. ეს თუმცა ასეა, მაგრამ გამგეობას თავისებურად გადაუკეთებია ეს წესდების მუხლი და ცხრა თვის მაგიერ ორსა და სამს წელიწადს არ შემოაქვთ მოვალეებს ფულები, და არა თუ თავნი და სარგებელი არ შემოაქვთ, არამედ ბარათების გამოცვლაც-კი დავიწყებიათ. ამ გვარად მთელი ბანკის თანხა, ოთხას თუმნამდის, ამისთანა უნუგეშო მდგომარეობაშია და გამოფხიზლდ დახლში თაგვები-ღა თამაშობენ. ეს ამბავი მით უფრო სამწუხარო და გასაკვირველია, რომ გამგეობის ერთს წევრს ჯამაგირი აქვს საზოგადოებისაგან დანიშნული მხოლოდ იმისათვის, რომ ბანკის საქმეებზე იზრუნოს, დროზე გაასესხოს და მოსხენებულს ვადაზე მოვალეთ შემოატანინოს ფული. ჩვენ არ გვესმის, წესდების წინააღმდეგ რად მოქმედობს გამგეობა?

მეთვალყურე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

საინტერესო წერილია დაბეჭდილი დღევანდელს „Рус. Вѣд.“-ში გერმანელის ბარტის პატარა წიგნის გამო. ეს პატარა წიგნი ბარტისა, რომელიც გერმანიის რეიხსტაგის წევრია თურმე, დაწერილია ამერიკის ყოფა-ცხოვრებაზე. ბარტის ამერიკაში უვლია და ბევრი საყურადღებო ცნობა შეუკრებია. მოვიყვანთ „Рус. Вѣд.“-ის წერილიდამ თითო-ოროლა ალაგს, რომელიც უფრო საინტერესო უნდა იყოს ჩვენის მკითხველებისათვის.

ჯერ ბარტი ამერიკის საერო განათლებაზე ლაპარაკობს.

> არავითარი სკოლა დედა-მიწის ზურგზე არ ამზადებს ისე კაცს ცხოვრებასთან ბრძოლისათვის, არ აღვიძებს კაცში მხნეობასა და თვით-მოქმედებას ისე, როგორც ამერიკის სკოლა. თითოეულს შტატში ყველას უსასყიდლოდ შეუძლიან მიიღოს სწავლა არა თუ პირველ-დასა-

წყის სკოლებში, არამედ უნივერსიტეტებშიაც-კი.

ბარტის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში იმ გარემოებას, რომ დედაკაცია ჩარეული სწავლებისა და განათლების საქმეში.

დაბალ სკოლებში მასწავლებელი ქალები რამდენჯერმე უფრო მეტია, ვიდრე მამაკაცები. მაღალ სკოლებშიაც თანდათან უფრო მრავლდებიან ქალები. დიდათ უნივერსიტეტებში ხომ პროფესორებად სულ ქალები არიან, თითო-ოროლას გარდა. ქალების მიერ საერო განათლებაში მონაწილეობის მიღება ფრიად სასარგებლო და ნაყოფიერი საქმე გამოდგა. სტუდენტი-ქალებიც-კი, რომელნიც სტუნტ კაცებთან ერთად სწავლობენ უნივერსიტეტში, არაფრით არ აბრკოლებენ საქმესა.

რაკი ქალებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, უნდა ვახსენოთ ბარემ, რა მონაწილეობა აქვთ ქალებს სხვაფრივაც საზოგადოებრივს ცხოვრებაშიო.

ვაშინგტონშიო, განაგრძობს გერმანელი მოგზაური, ყველა არჩევანებში დედაკაცებს ისეთივე ხმა აქვთ მინიჭებული, როგორც მამაკაცებს. ბევრს სხვა შტატებშიაც დედაკაცები დიდს მონაწილეობას იღებენ თვით-მმართველობის საქმეებში, სახელმწიფო სამსახურში და უფრო ქველ-მოქმედების და სამადლო საქმეებს მოწყობასა და წარმოებაში.

ასე გასინჯეთ, ქალებს აქვთ თურმე მინდობილი საპატიმროების მართვა და გამგეობაც-კი.

მასაჩუსეტის შტატშიო, ამბობს ბარტი, საკუთრივ დედა-კაცებს საპატიმრო ქალების გამგეობაშია. ამ საპატიმროში ყველგან ქალია მოსამსახურედ, დირექტორიდამ დაწყობილი უკრალო თავ-მდგომამდეო.

ბევრია სხვა გვარი დაწესებულებაც კიდევ, მაგალითად, საერო წიგნთ-საცავები და გაზეთებიო.

წიგნთ-საცავები და საკითხავები მეტის-მეტად უყვართ ამერიკელებს. ამ ჟამად ათასი ბიბლიოთეკები და წიგნთ-საკითხავებია მოფენილი ამერიკაში. ბიბლიოთეკა თავ-მოსაწონი საგანია თითოეულის დაბისა და სოფლისათვის, რომელიც ახლად შენდება. ერთი სოფელი მეორეს ეკამათება და ეჯიბრება ამ საქმეში. საზოგადოებათა გარდა, კერძო ქველ-მოქმედნიც შველიან ქვეყანას ამ საქმეში. ამას წინად სამუელ ტილდენმა მთელი თავისი ქონება—რამდენიმე მილიონი დოლლარი შესწირა ნიუ-იორკის ქალაქს დიდის საჯარო ბიბლიოთეკის დასაარსებლად.

ევროპაში ტყუილი ცუდი ხმებია გავრცელებული ამერიკის გაზეთებზე.

არსად გაზეთები და მწერლობა ისე კარგად არ ასრულებს თავის დანიშნულებას, როგორც ამერიკაშიო, ამბობს ბარტი ამერიკაში რომ სცხოვრობ, გიკვირს, როგორ ასწრობენ ეს გაზეთები, რომ ისეთის სისწრაფით აუწყებენ მკითხველს საზოგადოებას ყოველ ცნობას, ყოველს გარემოებას, რომელიც-კი შეეხება რომელსამე საყურადღებო ამბავსა.

ბარტი საეკონომიო ყოფა-ცხოვრებასაც არა სტოვებს უყურადღებოდ და თითო-ოროლა მეტად საინტერესო ცნობებს გვატყობინებს ამ საგნის შესახებაც.

ეკონომიურ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს მიწას და მამულების ფასს. ეხლა ამერიკაში 200,000 კილომეტრის სიგრძის რკინის-გზები იქმნა გაყვანილი და ამ რკინის-გზების გამო ხვნა-თესვა და მამულების მეურნეობა ძალიან გაადვილებულია თვით მიყრუებულს ხეობებსა და შორეულს ადგილებშიაც-კი. ამიტომ მიწასა და მამულს დიდი ფასი დაედო. ლალა მიწებისა ყოველ წლივ მატულობს თითო-თითო მილლიარდ დოლარსა.

ეს კიდევ არაფერი. საქმე ის არის, რომ ამერიკაში დღიური ფასიც მუშისა თან-და-თან უფრო მატულობს.

ჩიკაგოში რკინის-გზის სახელოსნოებში დღიური მუშა-ხელოსანი იღებს 5 მან. და 50 კაპ., უბრალო მუშას ეძლევა დღეში 3 მანეთამდე. ზოგან დურგლები იღებენ დღეში 9 და 10 მანეთს; კალატოზები 14—15 მანეთს.

## წვრილი ამბები

— ოსმალეთში, სკუტარისსა და ისმაილს შორის, ფილოქსერა გაჩენილა და მით უფრო საშიშია ეს მწერი, რომ ამ ადგილებში დიდ-ძალი ვენახებია გაშენებული. ოსმალეთის მთავრობას კომისია დაუნიშნავს ამ ვაზის მტერთან საბრძოლველად და ამ კომისიის თავ-მჯდომარედ სპარსის გუბერნატორი ალი-ფაშა ამოურჩევია.

— მცირე შიშიანობის წესთა თანახმად ბერლინის პოლიციას აღუკრძალავს ქუჩა-ქუჩა პატარა გაზეთებისა, ფურცლებისა და გაზეთის დამატებათა ყიდვა მთავრობის მიერ ხმა-დაურთველად.

— „Reichsfreund"-ის რედაქტორი ამილ ბარტისათვის ბერლინის სასამართლოს გადაუწყვეტია სამის თვით ციხეში დაპატიმრება, რადგან თავად ბისმარკის შეურაცხ-მყოფელი წერილი დაუბეჭდია გაზეთშიო.

— სკუტარისში გარდაცვლილა ერთი არტილერიის მაიორი 110 წლისა. ეს მაიორი 16 წლისა შესულა ოსმალეთის სამხედრო სამსახურში და უმსახურნია უკანასკნელ რუსთ-ოსმალეთის ბრძოლამდე. ამ მაიორის სხეული სულ ერთიანად სავსე იყო თურმე ჭრილობათა ნიშნებით.

— როგორც აღმოჩნდა, მაზდი ყვავილის გამო-კი არ გარდაცვლილა, არამედ იმიტომ, რომ თავის ჭარამხანის ორს მეუღლეს მოუწამლავთ.

— საკვირველი მოვლენა შეუნიშნავთ ბარცელონაში: ზღვა უეცრად დამჯდარა თითქმის ერთს ადლზე. ეს ამბავი მით უფრო საკვირველია, რომ სწორედ მაშინ მომხდარა, როცა საბერძნეთში მიწის-ძვრა ყოფილა.

— ექსეტერში თეატრის დაწვის გამო 84 სული სრულიად ობლად, უსუგეშოდ, უბინაოდ და უდუქმ-შეროდ დარჩენილა. ამას გარდა 15 ქალი დაქვრივებულა, სხვა დაზარალებულთა და დამაგებულთა გარდა. ობოლთა უმეტესობა დედათა სქესისაა თურმე და ამ დაზარალებულთა შესაწევრად სულ ცოტა 110,000 მან. საჭიროვო.

— პარიჟში შემდგარა ახალი საზოგადოება. ამ საზოგადოების წევრებად სულ ისეთი კაცები არიან, რომელთა შვილებიც ლიცეუმებში სწავლობენ. საზოგადოებას აზრად ისა აქვს თურმე, რომ სასწავლებლებში უმაწვილებს მეტად დიდი ჯაფა ადგათ, ბევრსა შრომობენ და ამიტომ სწავლის წესი უნდა შეიცვალოს უფრო პრაქტიკულად და დროს შესაფერადო.

— გარდაცვლილა უკანასკნელი შტოდ წარმომადგენელი ამერიკის პირველის პრეზიდენტის გვარეულობისა, ვილიამ ვაშინგტონი, 87 წლისა, რომელიც კენტუკში სცხოვრებდა.

— პარიჟის «Opèra-Comique»-ს ცეცხლის გაჩენაზედ გამოძიებას აღმოუჩენია, რომ ამ ცეცხლის გაჩენის უმთავრესნი დამნაშავენი ჯერექტორია თეატრისა, გარვალო, ცეცხლის მქრობელ რაზმის ერთი ჯგროს-კაცი და თეატრის სურათ-მოძღვარი. ეს სამი კაცი სამართალში მიეციათ.

— ვენეციაში ამას წინად სამხატვრო გამოფენა გამართეს. ამ გამოფენაზედ 80,000 მან. ზარალი მოსვლიათ გამმართველთ.

— რომის მაგისტრატს 25,000 მან. გადაუდვია ახლა-ხან გარდაცვალებულ იტალიის მთავარ-მინისტრ დეპრეტისისათვის ძეგლის ასაგებად.

— 16 წელიწადში (1870—1886) ევროპის ყველა სახელმწიფოებში მხოლოდ ორს სახელმწიფოს მოუხერხებია ვალის შემცირება: ინგლისსა და დანიას. ინგლისს ყოველ წლივ უხდის ცოტ-ცოტა ვალი და ამ თექვსმეტს წელიწადში 1,350 მილიონი ვალი გადაუხდია; დანიას-კი—20 მილიონი ფრანკი. დანარჩენ სახელმწიფოთ-კი ვალი უფრო მოჭარბებიათ: საფრანგეთს 12 მილიარდი ვალი მომატებია, რუსეთს—11, პრუსიას, ავსტრო-ვენგრიასა და იტალიას თითოეულს სამ-სამი მილიარდი, ისპანიასა და ეგვიპტეს თითქმის ერთ-ნახევარი მილიარდი ვალი მომატებიათ თითოეულს. საბერძნეთსა და სერბიას-კი მომატებიათ ვალი თითქმის 300 მილიონამდე და სხვა. საზოგადოდ მთელს ევროპას 1870 წელს 75 მილიარდი ფრანკი ვალი ჰქონია და 1886 წელს-კი ეს ვალი 115 მილიარდამდე ასულა, ესე იგი 40 მილიარდით უმატნია. თუ ევროპის მცხოვრებთა რიცხვს 291 მილიონს ვიანგარიშებთ, მაშინ კაცის თავზე 94 მან. ვალი მოდის.

— ამას წინად „Théatre-Français"-ში შემდეგი ახირებული ამბავი მომხდარა. პიესა „Fourberies de Scapin"-ის წარმოდგენის დროს წამოხტარა უეცრად სკამიდგან ინგლისური ბოხოქი, რომელიც მაყურებელთა შორისა მჯდარა, და რაც ძალი და ღონე ჰქონია დაუყვირნია „Bravo! მშვენიერებაა"; და ამავე დროს ერთის გვერდზედ მჯდარ კაცისათვის ქუდი წაუგლეჯია ხელიდგან და მაღლა აუგდია. მთელი მაყურებელი საზოგადოება ფეხზედ წამომდგარა. როცა ეს მოუსვენარი მაყურებელი გაუყვანიათ თეატრიდგან, პოლიციელთ დაუმოწმებიათ, რომ ყველას გაგრეკავთ სამსახურიდამაო. წაუყვანიათ ბოხოქი პოლიციაში, შეუმოწმებიათ ექიმებს, სულით ავადმყოფი აღმოჩენილა და წმ. ანნას საავადმყოფოში დაუწვენიათ.

## წლიური ანგარიში

ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა.

შარშან, 1 თიბათვეს, წლიურ კრებაზე უმთავრესი დაპირება ახალის მმართველობისა იყო დრამატიულის დასის შედგენა და წარმოდგენების გამართვა წარსულს ზამთარს. ეს დაპირება ასრულდა და ქართული თეატრი მოქმედებდა შარშან მმართველობის ხელ-მძღვანელობით.

მართალია, მმართველობამ ვერ მოასწრო ვერც ახალის არტისტიულის ძალის მოპოვება და ვერც ახალის რეპერტუარის შედგენა, რისაც ნებას არ აძლევდა არც საზოგადოების კასსის მდგომარეობა და არც ის მოკლე ვადა, რომელიც დარჩენილი იყო წარმოდგენებამდე, მაგრამ იმედია, არავისათვის არ დარჩა შეუმჩნეველად ის გარემოება, რომ ახალ დასში მმართველობამ შეჰკრიბა ყველა უკეთესი არტისტიული ძალა, რომელსაც კი ოდესმე, ამ უკანასკნელს თხუთმეტიოდ წელიწადს, გამოუჩინა თავი ქართულს სცენაზე და რეპერტუარიც შესდგა უფრო ისეთის პიესებისაგან, რომელთაც ხელოვნურ ღირსებასთან ჰქონდათ აგრეთვე ლიტერატურული ღირსებაც და საზოგადოებრივი მნიშვნელობა, და რომელნიც ადრე ხშირად არ იყვნენ ნათამაშევნი. ამას გარდა მმართველობამ ჩააბარა ერთს თავის წევრთაგანს (ვ. თუმანიშვილს) რეჟისსიორული ნაწილი, რომელიც ქართულს სცენაზე რჩებოდა აქამომდე უყურადღებოდ.

დასი შესდგებოდა შემდეგ პირთაგან: ქქ. საფაროვი-აბაშიძისა, ლეონიძისა, ჩერქეზიშვილი, იონათამოვისა, მელიქოვისა; ბბ. აბაშიძე, ალექსეევ-მესხიევი, აწყურელი და მაქსიმიძე. ხშირად მოწვეულნი იყვნენ წარმოდგენებში მონაწილეობისათვის: ქქ. გაბუნია-ცაგარლისა, აველოვისა; ბბ. ყიფიანი, კ. მესხი, ი. ცაგარელი და სხვ.

რეპერტუარი შედგენილი იყო შემდეგ 14 ორიგინალურ პიესებისაგან: «თამარ-ცბიერი», თ. აკ. წერეთლისა (პირველად), „სამშობლო", დ. ერისთავისა, „ხათაბალა" და „დაქცეული ოჯახი", სუნდუკიანცისა, „ძუნწი" და „უჩინ-მაჩინის ქუდი", გ. ერისთავისა, „რას ვეძებდი და რა ვპოვე!", ბარბ. ჯორჯაძისა, „რაც გინახავს, ველარ ნახავ!", „ხანუმა", „მათიკო" და „ბაიყუში", ავქ. ცაგარლისა, „თამარ-ბატონიშვილი", კ. მესხისა, „ბუტიაობა", აკ. წერეთლისა და «მირონი სუდში», დ. სოსლანისა, და შემდეგ 16 გადმოთარგმნილ და გადმოკეთებულ პიესებისაგან: „ეხლანდელი სიყვარული", დიაჩენკოსი, „როგორც ჰქუხს, ისე არა სწვიმს", გოლდონისა, „დამნაშავის ოჯახი" ჯიაკომეტისა, „ბედნიერი დღე", ოსტროვსკისა, და სოლოვიოვისა, „ბაქი-ბუქი" ლაბიშისა, „ცოლი-მეუღლე", ფოლლოვისა, „მეძლიერი!", «დავიდარაბა», მელიაკისა და ჰალევისა, „ალერსთა ბადე", ალექსანდროვისა (გადმოკ. პ. უმიკაშვილისაგან), „გაგვიყარონეთ!", სარდუსი (პირველად), „ქაჩ ბიდრი", ვაკრისა, „კინი", დიუმასი, „მეფე და პოეტი", „ვაი ჭკუისაგან", გრიბოედოვისა (პირველად), „სადილი მარშლისას" ტურგენიევისა. გადმოკ. თ. რაფ. ერისთავისა (პირველად) და „ჰამლეტი" შექსპირისა, გადმოთ. ივ. მაჩაბლისა (პირვ.). ამის გარდა შარშან წარმოდგენილი იყო შემდეგი ხუმრობა-ვოდევილები ერთ მოქმედებიანი: „ცელქები", „მკვიდრობით ოცნებავ!" (პირველად), «ოინბაზი», „დროებითი სიყვარული", „სუსტი მხარე", „გულმა იგრძნო", «ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ», «ბარაქალა დაუჯერებელო!» (პირვ.), „ახალ-ძველი ცოლ-ქმარ მუა", «დამთხვეული» (პირველად) და „მეჯლიში იტალიელებით".

სეზონი დაიწყო 15 ენკენისთვეს და გათავდა 15 თებერვალს (ხუთი თვე); მთელს სეზონში მოხდა ოცდა-თორმეტი წარმოდგენა, ესე იგი თვეში 6—7.

შემოსავალი ამ წარმოდგენებიდამ უნდა ნაკლები ყოფილიყო, ვიდრე ადრე, რადგან წარსულს ზამთარს ხშირად იმართებოდა სომხური წარმოდგენები 5-6 ადამიანის მონაწილეობით და რუსული ოპერაც გამლეობული იყო უჩვეულებრივოდ. მაგრამ აღმოჩნდა ბოლოს, რომ ქართულს წარმოდგენებს მეტი შემოსავალი ჰქონდათ, ვიდრე ჩვენ ვიანგარიშებდით შარშან ვარაუდად. ჩვენ საავარაუდო ანგარიშში თითო წარმოდგენაზე ვნიშნავდით შემოსავალს თხუთმეტს თუმანს და ნამდვილად-კი შემოვიდა, როგორც სჩანს ამასთან შემოერთებულ ანგარიშიდამ, 181 მ. 26 კაპ. (აქ არა ვიანგარიშობთ იმ ფულებს, რომელიც ერგო ბენეფიციანტებს), მაგრამ ამისდა გვარად მოგვემატა ხარჯიცა, რომელიც ნაანგარიშში არა გვქონდა შარშან, (მაგალითად მუსიკაზე, ურომლოდაც არ შეიძლებოდა წარმოდგენების გამართვა, რადგან მცირე სცენის მომართვა მოითხოვდა ხანგრძლივ ანტრაქტებს და სხვ.) და ამის გამო წარმოდგენების შემოსავლიდამ არამც თუ არაფერი არ დარჩა საზოგადოების სასარგებლოდ, არამედ თითქმის ყველა თავისუფალი ფული საზოგადოებისა დაიხარჯა წარმოდგენების გამართვასა და დასის შენახვაზე (ქვევით მოგვყავს შარშანდელი საავარაუდო ანგარიში ნამდვილად დახარჯულს ანგარიშთან შედარებით). თავისუფალ ფულის უქონლობა მმართველობას ნებას არ აძლევდა არც სათეატრო ფონდის დაარსებისას, არც პრემიების დაიშნისას და არც ტანისამოსის და ბიბლიოთეკის განახლებისას.

მაგრამ რადგანაც შარშანდელმა წარმოდგენებმა არც ძლიერ აზარალეს დრამატიული საზოგადოება და რადგან ამ საზოგადოების უმთავრესი დანიშნულება დასის შენახვა წარმოდგენების გასამართავად, რადგანაც-კი ეს საქმე თავის თავად რიგიანად ვერ წავა, ამიტომ მმართველობას განზრახვა აქვს ამ ზამთარსაც იმავე პროგრამას დაადგეს, როგორც შარშან. ამის შეაფერად ქვევით ვადგენთ საავარაუდო ანგარიშს შემოსავალ-გასავლისას მომავლის წლისას ანუ სეზონისას.

1 ენკენისთვიდამ 1887 წ. 1 ენკენისთვემდე 1888 წლ.

შარშანდელი ანგარიში

შემოსავალი

1 ენკენ. 1886 წ.—1 ენკენ. 1887 წ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| წარმოდგენებიდამ (32 წარ.) | 5810 | 47 |
| მეორე ბალიდამ . . . . | 642 | 74 |
| წევრებისაგან . . . . . | 65 | „ |
| კასსაში იყო . . . . . | 794 | 39 |
| შემოწირული ილ. ოქრომჭედლიშვილისაგან. . . . | 120 | „ |
| უცნობ პირთაგან . . . . | 4 | 55 |
| ფულის სარგებელი . . . | 5 | 93 |
| აქტიორებისაგან ჯარიმა . | 75 | „ |
| ფითუაშვილის წარმოდგენიდამ . . . . . . . . | 138 | 50 |
| | 7656 | 58 |

შარშანდელი საავარაუდო ანგარიში.

მოსალოდნელი შემოსავალი:

1 ენკ. 1886 წლ.—1 ენკ. 1887 წ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| წარმოდგენებიდამ (30 წარმოდ., თითოდამ 150 მ.) | 4500 | „ |
| მეორე ბალიდამ . . . . | 600 | „ |
| წევრებისაგან . . . . . | 107 | 90 |
| კასსაში იყო . . . . . | 792 | 10 |
| | 6000 | „ |

გასავალი

| | | |
|---|---|---|
| თეატრის ქირა (32 წარმ.) | 1600 | „ |
| დასის შენახვა . . . . . | 3730 | 50 |
| ტანისამოსისა და რეკვიზიტის ყიდვა და დაქირავება | 395 | 72 |
| ავეჯები და ბილეთები . . | 232 | 40 |
| პარიკმახერს. . . . . . | 192 | „ |

გაზეთებში განცხადება, სტატისტებს და სხვა წვრ. ხარჯი . . . . . 268 77
ორკესტრი და საზანდარი . 768 30
7187 69
კასსაში დარჩა: 468 89

მოსალოდნელი გასავალი

თეატრის ქირა (30 წარმ.) 1500 „
დასის შენახვა . . . . . 3430 „
იგივე . . . . . . . 300 „
იგივე . . . . . . . 240 „
იგივე . . . . . . . 150 „
პიესების გადაწერა და სხვა წვრილმანი ხარჯი . . . 200 „
სათეატრო ფონდისათვის . 180 „
6000 „

სავარაუდო ანგარიში
1 ენკ. 87 წლ.—1 ენკ. 1888 წლ.

შემოსავალი

კასსაში არის . . . . 468 89
წარმოდგენიდამ—1 ნოემბ. 1887 წლ. — 1 მარტ. 1888 წლ. ოც წარმოდგენიდამ, თითოდამ 250 მან. . . . . . . . 5000 „
საწევრო ფული და სხვა შემთხვევითი შემოსავალი 341 11
5800 „

ხარჯი

დასის შენახვა ოთხს თვეს. 2800 „
საღამოს ხარჯი (თითო წარმოდგენაზე 125 მან., ქირა სათეატრო და წვრილი ხარჯი ტანისამოსზე და სხვა). . . . . 2900 „
საზოგადოების წვრილმანი ხარჯი. . . . . 100 „
5800 „

თავ-მჯდომარე მმართველობისა: თ. გ. თუმანიშვილი.
თავ-მჯდომარის ამხანაგი თ. დ. ერისთავი.
წევრნი: ) ნ. აგალიშვილი. ) თავ. ვ. თუმანიშვილი.
მდივანი ვ. სულხანიშვილი.

## გასართობი

ქართველებს ბევრი მშვენიერი და სწორედ რომ ბრძნული ანდაზა აქვთ და მათ შორის ნამდვილად უნდა ჩაითვალოს „ფერი ფერსა—მადლი ღმერთსაო“. აი ამას წინად პარიჟში ერთი სასაცილო ამბავი მომხდარა და ეს ანდაზა სწორედ კალაპოტისავით არის გამოჭრილი ამ ამბავზედ. აი ეს ამბავიც.

ოდეონს ახლო ერთი მეტად რიგიანად ჩაცმული ინგლისელი შეჰხვედრია მეორე მეტად კოპწიად ჩაცმულს პარიჟელს და უთხოვნია, რომ პანტეონის გზა მასწავლეო. კოპწიად ჩაცმული პარიჟელი დიდის სიამოვნებით დასთანხმებია და გაჰყოლია უკან ჩიჩერონედ. ორივენი მისულან პანტეონში, დაუთვალიერებიათ და ბოლოს ინგლისელს თავის თანამგზავრი ყავახანაში მიუპატიჟნია. მისულან ყავახანაში, დაულევიათ რამდენიმე ფინჯანი ყავა, შემდეგ პარიჟელი რისთვისაც წამომდგარა, გარედ გასულა და... წასულა და წასულა, სულ ერთიანად თავი დაუნებებია სტუმრისათვის. პარიჟელის წასვლისას ინგლისელს ჯიბეში ხელი ჩაუყვია და ქისის ამოღება სდომებია, მაგრამ რა გინახავს, რას ეძებ, ვეღარ უპოვნია ქისა. მაშინვე წამომხტარა, გამოჰკიდებია პარიჟელს და დასწევია კიდეც. ამათს ყვირილსა და ვაი-ვაგლახზე მოცვივნულან პოლიციის მოხელენი და ორივე პოლიციაში წაუყვანიათ; გაუჩხრეკიათ და რა აღმოჩენილა: ინგლისელის ქისა პარიჟელსა ჰქონია და პარიჟელისა... ინგლისელს. ორივენი გამოჩენილი ჯიბგირები ყოფილან და ერთმანერთისათვის ჯიბეები შეუმსუბუქებიათ.

მოდი და ნუ იტყვი, რომ ანდაზა „ფერი ფერსა—მადლი ღმერთსა“ სწორედ ზედ გამოჭრილია ამ ამბავზეო.

* *

და განა მარტო ამ ამბავზედ არის ეს ანდაზა ზედ გამოჭრილი. ამერიკელ სქელ მუცლიანებს და ლიპიანებსაც კარგადა სცოდნიათ ამ ანდაზის ფასი და აი ამის მაგალითიც.

Gregory's Point-ში ყოველ წლივ იმართება წვეულება სქელის კაცებისა. ამ დღეს მიწა არა ძრულა, ხოლო Grand Central-ის რკინის გზის ახლო-მახლო ადგილები-კი ნამდვილად იძროდა, როცა თექვსმეტი დელეგატი ნიუ-იორკისა ჯდებოდა მატარებელში, რომ სქელ-მუცლიანების წვეულებაზე წასულიყვნენ. მაგრამ ეს არც ისე საკვირველია, რადგან ზემოხსენებული თექვსმეტი კაცი სულ 3,051 გირვანქაზე მეტს არ აიწონდა თურმე. ამ საზოგადოების პრეზიდენტი უელლოსი 220 გირვანქას იწონს და ფისკი-კი, ყველაზედ სქელი და ლიპიანი კაცი ნიუ-იორკისა, 408 გირვანქაა. წვეულებაზე ამერიკის ყოველ მხრიდგან სულ 100-მდე სქელი კაცი შეკრებილა. ეს ასი კაცი სულ 605 ფუთს აიწონდა. წვეულებაზე ვახშამი ჰქონდათ და აი ვახშმად რა გაუსაღებიათ ლიპიან ვაჟბატონებს: 300 გირვანქა თევზი, 400 გირ. შემწვარი ვარიები, 90 ჩანახი სხვა-და-სხვა მწვანილეული, 30 ჩანახი ლოკოკინა, 100 გირ. ძეხვი, 500 გირ. ცხრა-ფეხა პრტყელი კიბო, 2,000 ტარო სიმინდი, 6 ბოჩკა კარტოფილი, 75 საზამთრო, 30 კალათა შამპანის ღვინო და 100 ბოჩკა ლუდი. სქელ-მუცლიანთა მსუნაგობის შესამსუბუქებლად უნდა ვსთქვათ, რომ ამ კაცებს თან თავიანთი ცოლ-შვილიც მიუყვანიათ წვეულებაზე. წვეულება და დღესასწაული იმითი გაუთავებიათ, რომ ვახშმის შემდეგ სქელ-მუცლიანებს სირბილი დაუწყვიათ საჭმლის მოსანელებლად და კუჭის შესამსუბუქებლად, და ბოლოს ცეკვა გაუმართავთ. ყველა ეს ამბავი მეტად სასაცილო სანახავი იყო თურმე. რკინის გზას შეუტყვია, რომ წვეულებაზე ამდენი და ამდენი საჭმელი შეუნთქამთო და ნიუ-იორკის დელეგატებისათვის უარი გამოუცხადებია, ნიუ-იორკში ვეღარ წაგიყვანთ უკან, მატარებელში ვერ ჩაგსვამთ სიმძიმის გამო, შეიძლება გზაზედ მატარებელს რაიმე უბედურება დაემართოს თქვენის მიზეზითაო; ლიპიანები ძალიან გაცხარებულან ამ უარზე და დიდის ხნის მოლაპარაკების შემდეგ ძლივს დაუთანხმებიათ რკინის გზის მმართველობა და ეს თექვსმეტი დელეგატი მშვიდობიანად მისულან ნიუ-იორკში.

პაი, პაი, პაი! მთელის ქვეყნის სარჩო მაგ ოჯახ დაქცეულებს შეუჭამიათო!—იტყვის მკითხველი და მართალსაც იტყვის, სწორედ საარაკო და ბარაქიანი კუჭი ჰქონიათ ამ დალოცვილებს!

## დეპეშა

### 3 ოქტომბერი

ვენა. გუშინ მიღებულ იქმნა უკანასკნელი ნაწილი ნიშ-პიროტის რკინის გზისა ბოლგარეთის საზღვრამდე. ის ნაწილი რკინის გზისა, რომელიც ოსმალეთშია და მიდის სერბიის საზღვრამდე, უკვე გაუთავებიათ უსკიუბამდე. დღეის იქით გაიმართება რკინის გზით მიმოსვლა ვენიდამ ბელგრადამდე და ბელგრადიდამ სალონიკამდე.

კლერმანი. გენერალი ბულანჟე უკვე დაუტუსაღებიათ.

### 5 ოქტომბერი

პეტერბურგი. გაზეთები შემდეგს ცნობებს გვაუწყებენ კიდევ საადგილ-მამულო გადასახადის მომატების თაობაზე: სხვა-და-სხვა გუბერნიებში სხვა-და-სხვა გვარად იქმნება მომატებული ეს გადასახადიო; თითოეულ დესეტინაზე მოემატება $^1/_4$-იდამ $^3/_4$ კაპეიკამდე ვოლოგდისა, ნოვგოროდისა, ოლონეცკისა და ორენბურგის გუბერნიაშიო; 1-იდამ 2 კაპიკამდე მოემატება შემდეგს გუბერნიებში: გროდნოსაში კოსტრომისაში, მინსკისაში, მოგილიოვისაში, ნიჟე გოროდისაში, პსკოვისაში, სამარისაში, ს.-პეტერბურგისაში, სმოლენსკისაში, ტომსკისაში, ტულისაში, ხერსონისასა და ესტლანდიისაში. 5 კაპიკი მოემატება ლიფლიანდიაში და 6 კაპიკი კურლიანდიის გუბერნიაში.

პარიჟი. სამხედრო მინისტრი წავიდა ნანსს ახლად შედგენილ ქვეითი ჯარის რაზმების სანახავადა და აღმოსავლეთის საზღვრების დასათვალიერებლად.

სოფია. გუშინდელი საქალაქო არჩევნები მმართველთა სასარგებლოდ გათავდა.

პეტერბურგის ბირჟა, 29-ს სექტემბერს

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველის | გამყიდველის | გასულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — » | — » | 8 94 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | $178^1/_2$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — » | — » | 1 31 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . . | — » | — » | $269^3/_4$ |
| — მეორისა . . . . | — » | — » | $247^1/_2$ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | — » |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . . | — » | — » | — » |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუპზ (1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.
ძველი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

ოქტომბერი 31 დღით არის

**6 დღე სამშაბათი.** წმ. თომა მოციქულისა. კათოლ. წმ. ალმსაარ. ბრუნონისა. სომეხ. წმ. ქალწულთა თეკლესი, ბარბარესი და პელაგიასი. მუსულ. 1-ლი რიცხვი თვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—16, ჩადის 5—14. მთვარე 4 დღისაა.

**7 დღე ოთხშაბათი.** წმ. სერგოსი და ვაკხოსი. კათოლ. ღვთის-მსახურება წმ. იოსების ყოვლად-წმინდა ქალწულ მარიამზე დანიშნვისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-2 რიცხვი თვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—17, ჩადის 5—13. მთვარე 3 დღისაა.

**8 დღე ხუთშაბათი.** ღირს. პელაგიასი და ტაისიასი. კათოლ. წმ. ბირგიტტასი. სომეხ. წმ. პანტელეიმონისა და სხ. მუსულ. მე-3 რიცხვი თვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—18, ჩადის 5—11. მთვარე 4 დღისაა.

**9 დღე პარასკევი.** მოციქ. იაკობ ალფესი, მამა აბრაამისა და ლოტისა. კათოლ. წმ. მოწ. დიონისიასი, რუსტიკასი და ელევტერიასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-4 რიცხვი თვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—20, ჩადის 5—10. მთვარე 5 დღისაა.

**10 დღე შაბათი.** წმ. მოწ. ევლამპისა და დისა მისისა ევლამპიასი. ღირს. თეოფილესი და სხ. კათოლ. სამადლობელო ღვთის-მსახურება ხოტინის გამარჯვების სახ. სოვრად. სომეხ. წმ. მთარგმნელვარდაპეტთა სომეხთა: მესროპისა, ელიშესი და სხვათა. მუსულ. მე-5 რიცხვი თვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—21, ჩადის 5—8. მთვარე 6 დღისაა.

### ბაზრისადმი ცნობანი

**ნიხრი**

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ
პური 1-ის ხარისხისა . . 3 »
» 2 » $2^1/_2$ »
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 »
» » 2— $3^1/_2$ »
» » 3 » 3
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 »
მე-2 ხარისხისა . . 4 »
მე-3 — . . . » »
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 »
» 2 » 6 »
სუკი . . . . 13 »
ცხვრის ხორცი . . . 7 »
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. » »
» 2 » » »

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ აჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


## კერძო განცხადებანი

ნაფიცი ვექილი

სერგეი ვასილის ძე ჩემესოვი

გადავიდა არსენალის ქუჩაზედ, გორბუნოვის სახლებში, მე-66 №-ში, ძველის კრუჟოკის უკან. (6—4)

ქართული სამკითხველო წიგნთ-საკითხავი, რომელიც იმყოფება ბაზრის ქუჩაზე, იარმუკის ბოლოში, მე-14 №-ში, ღიაა ყოველ-დღე ნაშუადღევის 4 საათიდამ 9 საათამდე. წიგნთსაკითხავში შესვლა და წიგნების იქვე კითხვა, თუ გარედ წაღება, შეუძლიან ყველა წოდების კაცს. წიგნის კითხვისათვის არავის არავითარი ფასი არ გამოერთმევა

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

ქილილა და დამანა. ვახტანგ მეფ. მ. ქვსისა . . . . . . . . 3 »
ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. 1 50
სიბრძნე-სიცრუვე, საბა-სულხან ორბელიანისა . . . . . . » 50
დავითიანი, დავით გურამიშვილისა . . . . . . . . . 1 »
თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა . . . . . 1 »
ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა . . . . . . . . » 50
ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა, » 30
თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. » 40
მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა . » 30
დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . . » 20
რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . . » 10
სურამის ციხე, ჭონქაძისა . . » 20
ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . . » 30
თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა. » 1
ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. » 20
ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთვისა. . . . . . » 5
იგავ-არაკი, რაფაელ ერისთვისა. » 25
განკიცხული, მოხსუბარიძისა . » 50
ციკო, მისივე. . . . . , » 30
პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა . . . . . » 10
მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა . . . . . . . » 10
ბაგრატ მეოთხე, მისივე. . . » 20
მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე . . . . . . . . » 10
ვახტანგ მეექვსე, მისივე. . . » 1
დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . . » 51
არითმეტიკა, დიდებულიძისა. . » 50
არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . . »
წითელი ფარანი, თარგმანი. . » 15
ზაფხული, ჯუღელის რედაქციით. » 2
ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა . . . . . . . . . » 10
ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა » 5
არსენას ლექსი . . . . . » 5
ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგმანი. . . . . . . . . » 1
ქართული ანდაზები. . . . » 1
თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა . . . . . . . . » 4
ირაკლი მეორის გლოვა . . » [illegible]
ალი, ნ. ლომოურისა . . . » 3[illegible]
დრო არის საქმეს შევუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. . . . . » 20
ალმანახი, გ. თუმანიშვილისა . » 40
სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა . . . . . . . » 5
მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა . . 1 »
თხზულებანი, მისივე ნაწ. I. . » 60
რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა . . . . . . » 30

ახლად შეძენილია და ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, სარაჯოვის სახლში (Дворцовая ул., домъ Сараджева) შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დედა-ენა, ი. გოგებაშვილისა . | „ | 30 |
| ბუნების კარი, მისივე . . . | „ | 75 |
| კოკორი, მისივე . . . . | „ | 10 |
| კონა, მისივე . . . . . | „ | 50 |
| ხომლი, მისივე . . . . . | „ | 30 |
| კუნწულა, მისივე . . . . | „ | 40 |
| დედანი, მისივე . . . . . | „ | 30 |
| შალვას თავ-გარდასავალი, გ. დ. ცახელისა. . . . . | „ | 20 |


Дов. цен. Тиф. 3 октября. 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) на Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე